ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7190545

ნომერი: AR11051146

თარიღი : 02.08.2024

გაცემის თარიღი : 22.08.2024

გაცნობის თარიღი : 23.08.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი, N 53ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ბაღათურია პ/ნ 62001035451
- სოხუმი გუმისთის N 12 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 02 აგვისტოს №AR11051146 განცხადებით მომართა ზურაბ ბაღათურიამ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებაში ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებით №01.13.04.004.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
წიინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს საცხოვრებელ ბინებში გეგმარებისა და ფართობების ცვლილებას, ამასთან საზაფხულო ფართობის დამატებასა და ავტოსადგომებზე სადგომების ადგილმდებაროებისა და ნუმერაციის ჩასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას, რადგან საპროექტო შენობა-ნაგებობაში გეგმარების ცვლილება საჭიროებს სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, სამსახურთან სათანადო ნომენკლატურით მომართვას და კორექტირებული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის მიღებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებული შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.